

@Naec - საერთო სამაგისტრო გამოცდის იმიტაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში

სადიაგნოსტიკო ტესტირება - შემოწმე შენი თავი Naec-თან ერთად

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მაგისტრანტობის კანდიდატებს სთავაზობს ტესტირების გავლას საერთო სამაგისტრო გამოცდის სამ ნაწილში - **წაკითხულის გააზრება; ლოგიკური მსჯელობა; რაოდენობრივი მსჯელობა**. მონაწილეებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, გაიარონ ტესტირება სპეციალურად ორგანიზებულ საგამოცდო სექტორში ზედმიწევნით დაცული საგამოცდო პროცედურებით. **ტესტირებისათვის რეგისტრაცია 27 მარტს დაიწყება**. მსურველებმა უნდა გადაიხადონ ტესტირების საფასური და გაიარონ რეგისტრაცია ვებგვერდებზე: www.naec.gov.ge ან online.naec.ge

ტესტირებისას გამოყენებული იქნება სრულიად ახალი დავალებები (პროექტის ფარგლებში გამოყენებული დავალებები არ გამოქვეყნდება). შედეგს მონაწილე მიიღებს ტესტირების დასრულებისთანავე.

ტესტირების სამი ნაწილის გავლის საფასურია 30 ლარი. ინფორმაცია თანხის გადახდის ფორმების შესახებ გამოქვეყნდება ვებგვერდზე www.naec.gov.ge

რეგისტრაციისა და ტესტირების დეტალური ინსტრუქცია გამოქვეყნდება რეგისტრაციის დაწყებამდე ვებგვერდზე www.naec.gov.ge